პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—აგვისტო 2024 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ნასახლარის ქუჩისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის პოეტის ფრიდონ ხალვაშის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, ნასახლარის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს პოეტის ფრიდონ ხალვაშის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. მთაწმინდის რაიონში, ნასახლარის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს პოეტის ფრიდონ ხალვაშის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:479825 Y:4614657
X:480738 Y:4614577
ფრიდონ ხალვაშის ქ.
I შეს.
X:480386 Y:4614459
X:480131 Y:4614400
ფრიდონ ხალვაშის ქ.
N

(17)

19/032413721-03
17-03242136-03
10/032419875-03

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მოქ: ია ხანიაძე
მცხ: ქ.თბილისი უზნაძის № 105
ტელ: 557726?62
პ.ნ: 01005024524

განცხადება

მოგმართავთ თხოვნით, რომ ოფიციალურ ყოფილი [illegible]
ქუჩის ს/კ 81.02.13.878 ხელოვნური მიწიდან [illegible] და მისცეს
დასახელება [illegible] [illegible] შესაბამისად [illegible] [illegible]
დოკუმენტი, შემდეგში იურიდიული მისამართის გასაფორმებლად.
ასევე [illegible] რომ მისი [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible]: სასწრაფოდ განიხილეთ [illegible].

ი. ხანიაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032420768**
თარიღი: **25/07/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე თეა ხანთაძის 2024 წლის 16 მაისის საქმე #19/032413721-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ მოქალაქის მიერ განცხადებაში მითითებული ტერიტორია (ს.კ.81.02.13.878) და გამოგვიგზავნოთ ოქროყანაში, ნასახლარის ქუჩის და მის მიმდებარედ, გრგ-ს ფარგლებში განვითარებული უსახელო გზის სიტუაციური ნახაზი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0124213350**
თარიღი: **31/07/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 25.07.2024 წლის # 03-032420768 (25.07.2024 წ. #14-0124207 3091-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ააიპ საქართველოს მწერალთა
შემოქმედებითი კავშირი

CREATIVE UNION OF GEORGIAN
WRITERS

საქართველო, თბილისი, მწერალთა სასახლე, ივ. მაჩაბლის №13
13 Iv. Machabeli st. The Writer's Palace, Tbilisi, Georgia
ტელ. Tel. 599-98-50-57
mako_gona@mail.ru

№ 11/01 „16" იელისი 2024 წ.

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბ-ნ გ. ტყემალაძეს

ბატონო გიორგი!

გულითადად მოგესალმებით და წარმატებებს გისურვებთ თქვენს უაღრესად საპასუხისმგებლო საქმიანობაში.

ქართველ მწერლებს ახარებთ ის გარემოება, რომ მოზომილი და გონიერი ნაბიჯებით ეწევით უაღრესად მნიშვნელოვან საქმიანობას...

ჩვენი თხოვნა კი ერთ, მართლაც რომ, მეტად საშურ საკითხს ეხება.

მოგეხსენებათ, აჭარას არაერთი დიდებული მამულიშვილი ჰყავდა, რომელთაგან ქართველი ხალხისთვის განსაკუთრებით სათაყვანოა რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფრიდონ ხალვაშისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატის ზურაბ გორგილაძის სახელები. ეს ორი ადამიანი არა მხოლოდ აჭარის, არამედ მთელი საქართველოს დიდებისა და სიბრძნის სიმბოლოდ იქცა.

ზურაბ გორგილაძის და ფრიდონ ხალვაშის პოეზია, სწორედაც რომ, ერთიანი საქართველოსთვის მებრძოლი პოეტების სულიერი ღაღადისია, ისეთი პოეზიაა, რომლითაც ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა.

სამწუხაროდ, ასეთ დიდ შემოქმედთა სახელობის ქუჩები არ არსებობს თბილისში და ამიტომაც მოგმართავთ თხოვნით, რათა თბილისის ქუჩებს ეწოდოს თანამედროვე ქართული პოეზიის ორი უდიდესი წარმომადგენლის ზურაბ გორგილაძის და ფრიდონ ხალვაშის სახელები, რითაც ერთის მხრივ პატივს მივაგებთ ორი კლასიკოსის ხსოვნას, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენს საესავ დედაქალაქს მეტი ხიბლი შეემატება.

გულისხმიერებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას.

ღრმა პატივისცემით

საქართველოს მწერალთა
კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი



ფრიდონ ხალვაში

(1925- 2010)

ქართველი პოეტი, პროზაიკოსი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი

ფრიდონ ხალვაში დაიბადა 1925 წლის 17 მაისს ქედაში, სოფელ გეგელიძეებში. იშილ ხალვაშისა და აიშე გოგიტიძის ოჯახში.

1957 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი ლიტერატურის კურსები, ხოლო 1959 წელს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი. 1979 წლიდან იყო შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი.

მისი პირველი ლექსი 1948 წელს, პოეტური კრებულ „გზის ქვეყანაში“ გამოქვეყნდა. ფრიდონ ხალვაში 50-მდე წიგნის ავტორია, რომელთა შორისაა: „ჭოროხის ხვაშიადი“, „საყვედური“, „გენაცვალე“, „ეს დღე“, „დარდი“, „ასი მზე დედის გულისა“. 1995-1999 წლებში იყო საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი „საქართველოს აღორძინება“.

2010 წლის 17 მაისს თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრში ფრიდონ ხალვაშის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, სადაც ერთ-ერთი ლექსის წაკითხვისას სახელოვანი პოეტი, მუხრან მაჭავარიანი გარდაიცვალა. ამის მერე ფრიდონ ხალვაში მძიმედ ავადმყოფობდა და გარდაიცვალა ამავე წლის 8 ივლისს, მშობლიურ სოფელ გეგელიძეებში.